№1190 2015 წლის 8 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოსა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (პირველი ინკლუზიური ზრდის განვითარების პოლიტიკის ღონისძიება)“ სასესხო ხელშეკრულების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად გ. კაკაურიძისა და დ. ლეჟავას დანიშვნის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1[1] პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „საქართველოსა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (პირველი ინკლუზიური ზრდის განვითარების პოლიტიკის ღონისძიება)“ სასესხო ხელშეკრულება.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილი ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ სასესხო ხელშეკრულებაზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები გიორგი კაკაურიძე და დავით ლეჟავა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**